მატჩი დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი. ”მეტეორის” სტადიონი. 21 აგვისტო.

”დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) – ”დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

”დნეპრი”: კრაკოვსკი, კობზარევი, გრუნინი, დილაი, ლისენკო (კრამარენკო), დამინი, შურშინი, ნადეინი, ოლენევი, პოგორელოვი (ლისიჩენკო), ლიუტი.

”დინამო”: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მელიქია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია (ჯოხაძე), შენგელია.

მსაჯი: კ. დორონინი (მოსკოვი).

დუბლიორები - 2:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცავამ.

დნეპროპეტროვსკის გუნდი საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ჯერ კიდევ სახიფათო ზონაში იმყოფება, თუმცა კარგად ჩაატარა ბოლო შეხვედრები და 6 შესაძლებლიდან ზედიზედ აიღო 5 ქულა. ცხადია, ”დნეპრმა” თავი დააღწია ადრინდელ ჩავარდნას და როცა მის წინაშე წარმოიქმნა უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარკვეული შანსები, მან მთელი თავისი შესაძლებლობანი, მაქსიმუმი ჩააქსოვა ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას.

თამაში პირველივე წუთებიდან სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ გამარჯვების მისაღწევად, დიდი დატვირთვა აწვა ორივე მეკარეს, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გაბელიამ, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთის აღება შეძლო. დინამოელთაგან გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ჩივაძეს, შენგელიას, გუცაევს.

შესვენების შემდეგ ტემპმა ოდნავ მოიკლო, თუმცა სახიფათო მომენტები კვლავ იქმნებოდა ორივე კართან. ერთ-ერთი იერიშისას ”დნეპრის” კარში ძლიერად დაარტყა ჩივაძემ, მაგრამ ბურთი აცდა კარს.

მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი, საფინალო სასტვენს სულ რამდენიმე წამი აკლდა, როცა თბილისელთა კართან შექმნილი მომენტი დამთავრდა გოლით, რომელმაც ”დნეპრს” გამარჯვება მოუტანა.

”ლელო”, 22 აგვისტო 1981 წ.